

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საექთნო საქმის ბაკალავრი
პროგრამის სტატუსი. შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. გადაწყვეტილება №195; 05.11.2019წ.
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი კახაბერ ჭელიძე
პროგრამის მოცულობა	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში მონაწილეობა დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის აღდგენის და შენარჩუნების, ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიმართულებით; • კლიენტის/პაციენტის მდგომარეობის სწორად მოვლის/მართვის გეგმის შემუშავება დამოუკიდებლად და სამედიცინო გუნდის წევრებთან კონსოლიდირებულად; • კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეფექტური მოქმედება (კომპეტენციის ფარგლებში); • ადეკვატური და ეფექტური კომუნიკაცია მულტიდისციპლინურ სამედიცინო გუნდის წევრებთან, პაციენტთან და მის ახლობლებთან (კომპეტენციის ფარგლებში); • ყველა შესაძლებლობის გამოყენება საკუთარი ცოდნის და პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფისა და განვითარებისათვის
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	საექთნო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საექთნო საბაკალავრო პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის მოკლე აღწერა	საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიულ საგანმანათლებლო პროგრამას საფუძველად უდევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, T.G. დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა და TILAK GmbH -ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, მათ შორის, ავსტრიული მხარის

	<p>წარმომადგენლების მონაწილეობას პროგრამის განხორციელებაში (სალექციო კურსი), გერმანული ენის გაძლიერებულ შესწავლას, წარმატებული სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკას ავსტრიის კლინიკებში, სადაც ისინი გაეცნობიან საექთნო განათლების სისტემის თავისებურებებს, საქმიანობის სფეროებს და ჩაერთვებიან პროფესიულ საქმიანობაში მათი ცოდნის და კომპეტენციის ფარგლებში, მასპინძელი მხარის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.</p> <p>აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას.</p> <p>პროგრამა აგებულია ECTS - ის მიხედვით და მოიცავს 240 კრედიტს. ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.</p>
<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, მათი ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.</p> <p>სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას, რაც წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (სტუდენტთა ყოველკვირეული/ყოველდღიური მიმდინარე აკადემიური, პრაქტიკული აქტივობები, პრეზენტაცია/ები, კოლოკვიუმ(ებ)ი და სხვ.) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 0-60 ქულით. ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 0-40 ქულა.</p> <p>შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p>

	<p>დადებითი შეფასებები: (A) ფრიადი – 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა, (C) კარგი – 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა,; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.</p> <p>უარყოფითი შეფასებები: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ხელახლა აქვს შესასწავლი. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: იცის/აცნობიერებს</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები, ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში; • პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული საკითხები და კლინიკური უნარ-ჩვევები, უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლის პრინციპები; • უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა, მართვისა და ლიდერობის უნარები. <p>უნარი: შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> • მიღებული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში, სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვის და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის უზრუნველყოფა. • კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის, სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების, ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ადეკვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; • კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევების და არაინვაზიური პროცედურების წარმოება. სამკურნალო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა ეფექტური გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების

	<p>წესების დაცვით, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება. კვლევაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობის ხელშეწყობა ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით; • ეფექტური კომუნიკაცია ცვლად პროფესიულ გარემოში, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით, საკუთარი პრაქტიკის სრულყოფა და კარიერული წინსვლა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმის გამოყენებით. • საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედება.
<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</p>	<p>ბაკალავრი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, აგრეთვე, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს. შრომის ბაზარზე კვალიფიციურ ექთნებზე გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს აღნიშნული კომპეტენციის პირების დასაქმების მაღალ ხარისხს.</p>

საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო დისციპლინა	სემესტრი	კრედიტი
1	საორიენტაციო კურსი	I	2
2	საექთნო საქმის ისტორია	I	2
3	პროფესიული ეთიკა	I	2
4	სამართლის საფუძვლები	I	2
5	ლათინური ენა	I	2
6	მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები	I	2
7	ინფორმატიკის საფუძვლები დარგობრივი ინფორმატიკით	I	3
8	სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	I	2
9	სამედიცინო ქიმია	I	2
10	ანატომია 1	I	5
11	სამედიცინო ბიოლოგია	I	3
12	ჰისტოლოგიის საფუძვლები	I	3
1	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები 1	II	2
2	ანატომია 2	II	4
3	სამედიცინო ბიოქიმია	II	2
4	ფიზიოლოგია 1	II	4
5	გერმანული ენა 1	II	4
6	ავადმყოფის მოვლა 1	II	5
7	მიკრობიოლოგია	II	2
8	იმუნოლოგია	II	2
9	გარემოს ჰიგიენა	II	2
10	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	II	3
1	ფიზიოლოგია 2	III	4
2	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	III	2
3	სოციოლოგიის საფუძვლები	III	2
4	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები 2	III	2
5	პრევენციული მედიცინა	III	4
6	საექთნო საქმის საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციის საფუძვლები	III	2
7	ბიოსამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები	III	2
8	გერმანული ენა 2	III	4
9	კლინიკური უნარ-ჩვევები 1	III	5
10	ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა (არჩევითი)	III	3
11	ფსიქოჰიგიენა (არჩევითი)	III	3
12	ინგლისური ენა 1 (არჩევითი)	III	3
1	კვლევის ბაზისური მეთოდები	IV	2
2	კომუნიკაციის საფუძვლები	IV	2
3	კონფლიქტის მართვის საფუძვლები	IV	2
4	ფარმაცოლოგიის საფუძვლები	IV	3
5	პათოლოგიური ანატომია	IV	3

6	პათოლოგიური ფიზიოლოგია	IV	3
7	გერმანული ენა 3	IV	4
8	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	IV	2
9	პედაგოგიკის საფუძვლები	IV	2
10	ავადმყოფის მოვლა 2	IV	2
11	კვების ჰიგიენა	IV	2
12	წერტილოვანი მასაჟი (არჩევითი)	IV	3
13	სამკურნალო მასაჟი (არჩევითი)	IV	3
14	ინგლისური ენა 2 (არჩევითი)	IV	3
1	გერმანული ენა 4	V	5
2	კერძო ფარმაკოლოგია	V	5
3	დიაგნოსტიკის საფუძვლები	V	4
4	ლაბორატორიული საქმე	V	3
5	პირველადი დახმარების ასპექტები	V	3
6	საგანგებო სიტუაციების მართვა	V	3
7	კლინიკური უნარ-ჩვევები 2	V	4
8	პროფესიული დაავადებები (არჩევითი)	V	3
9	სპორტული მასაჟი (არჩევითი)	V	3
1	ფსიქიატრია 1	VI	2
2	შინაგანი მედიცინა	VI	5
3	თერაპიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VI	4
4	ზოგადი ქირურგია	VI	5
5	ქირურგიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VI	4
6	ინფექციური დაავადებები	VI	3
7	ინფექციური პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VI	2
8	დერმატოლოგია	VI	2
9	ფიზიოთერაპიის საფუძვლები (არჩევითი)	VI	3
10	მასაჟის ზოგადი საფუძვლები (არჩევითი)	VI	3
1	ნევროლოგია	VII	3
2	ნევროლოგიური პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VII	3
3	პედიატრია	VII	3
4	პედიატრიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VII	4
5	ოფთალმოლოგია	VII	2
6	გერონტოლოგია, გერიატრია	VII	3
7	გერონტოფსიქიატრია	VII	2
8	გერიატრიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	VII	3
9	შინმოვლა 1	VII	2
10	დარგობრივი ერგონომიკა 1	VII	2
11	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (არჩევითი)	VII	3
12	ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული უსაფრთხოება (არჩევითი)	VII	3

1	შინმოვლა 2	VIII	2
2	დარგობრივი ერგონომიკა 2	VIII	2
3	მეანობა-გინეკოლოგია	VIII	4
4	დედათა და ბავშვთა მოვლა	VIII	4
5	ონკოლოგია	VIII	4
6	ონკოლოგიური პაციენტის მოვლა	VIII	3
7	ფსიქიატრია 2	VIII	4
8	რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია	VIII	4
9	კურორტების მენეჯმენტი (არჩევითი)	VIII	3
10	სპას ბიომექანიკური საფუძვლები (არჩევითი)	VIII	3